



არსენალი

საქართველოს
არსენალი

№ 24 (67). 28 ნოემბერი - 11 დეკემბერი, 2008. ფასი 1,5 ლარი. „ქვიჩის პალიგრა“. სემბდრო-ანალიტიკური ჟურნალი.

ორი ფლოგის პრობლემა
ვინ ვის უერთდება?

1425
2008



ფოტოფაქტი:
საღლი ინფორმაცია
სამოკდაბულ რუსულ
პრეზიდენტისა და

როგორ
დაეკლარირთ
სიკვდილის მიუღ



ქონულიკმის
ზონების
საზღვრებთან
კვლავ იხვრინან
და აუთქეებენ

6



საქქალაქქ
თავდასუვა და
სახელმწიფოს
უსაფრთხოება

11



NATO-ს წევრ
ლაზქვიანუბს
უფრთხიან რუსულ
აგრინიანს

7

ორი ფლოვის
პრობლემა ვინ ვინ
უნდა შეუერთდეს...

13



დიდგორინა და
ქანეს
ბრქმლების
შეთანასწორება

42



როგორ
დაქმლირთ
სიქვილის
შივი

15

სარჩევი

- 4 ახალი ამბები
საერთო
- 6 კონფლიქტის ზონების საზღვრებთან კვლავ ისვრიან და აფეთქებენ
მემორიული შეხვედრის პრინციპი
- 7 NATO-ს წევრ ტატივიში უფროსიან რუსულ აგრესიას
მოსახლეობის თავდაცვა
- 11 სამოქალაქო თავდაცვა და სახელმწიფოს უსაფრთხოება
მითხვების გავლენები
- 13 ორი ფლოტის ჰრობლენა ვინ ვის უნდა შეუერთდეს...
გამოცდილება
- 15 როგორ დავძლიოთ სიყვდილის შიში
საპარამიტი
- 18 რუსეთის არმიის ავტომობილები ქართულ-რუსულ ომში
საქმისაღმარებელი
- 21 რომელი ქვეყნის სუვერენიტეტი იქელება კომპრომატების სტივონი
ფორმული
- 24 ოკუპანტებმა მოტორნიზებული ტამის „ნიანგები“ – Ми-24ПН-ები გამოიყენეს
ფორმული
- 25 კიდევ ერთი Cy-24-ის ჩამოგდების ფაქტი
ანტიარაქტიული ფაქტი
- 26 ამერიკელი რაიკეტსანიანდმდეგო თავდაცვის სისტემა
აქტიუმი
- 34 „მფრინავი ჯავშნოსანი“
მეორე სახეზე უნდა მსოფლი
- 37 აგრესიის რუსული თავისებურებები
მეორე მსოფლიო ომის რეალი
- 39 კავალერიის როლი შუა საუკუნეებში
ბრძოლის ომის რეალი
- 42 დიდგორისა და კანკი ბრძოლების შეთანასწორება
გამოცდილი მხარეთმთავრები
- 44 ნერონი
ქრონოლოგი
- 47 არსენალტორონი
სამხედრო სიხლუბები
- 48 ახალი თვითმფრინავის გამოცდა დასასრულს უახლოვდება
სამხედრო სიხლუბები
- 49 ამერიკული ხომალდი მომავლის იარაღს ცდის
უახლესი ომის რეალი
- 50 ერთი ფლოტის ისტორია და ტანკი №193
არსენალის იარაღის მართვა
- 53 ტეგენდარული UZI-ს ნაცნობ-უცნობი მხარეები

რედაქციის სვეტი

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალი ომის დაწყების საშეშროებას არ გამოირჩევა. მართლაც, კონფლიქტის ზონების საზღვრებზე სიმშვიდე ჯერ არ დამყარებულა, იქ თითქმის ყოველდღე ისვრიან.

არის მოსაზრება, რომ კრემლი ეკონომიკური კრიზისისგან რუსეთის მოსახლეობის ყურადღების გადასატანად დეკემბრამდე ახალ შეიარაღებულ კონფლიქტს გააჩაღებს საქართველოში, რათა შემდეგ თავისი მოსახლეობა მორიგი „გამარჯვებით“ გააბრუნოს...

ასე თუ ისე, ომის ხელახლა გაჩაღების საშეშროება ჯერ კიდევ დიდია. ამიტომაც საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს აგვისტოს ტრაგიკული მკვლელობები და აღარ დაუშვას იგივე შეცდომები, რომ რუსეთმა კვლავ არ ჩავეთიოს ომში.

*ირაკლი ალადაშვილი
გიორგი შორშოლიანი*

ყარაღდება!
გამოინერეთ „არსენალი“ და მიიღეთ შინ, ორი კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუყოვნებელი მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
25.11.2008

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenalii@kvisripalitra.com
ყურნათი გამომცემი

საქართველოს
კარგადმართვის
სახელმწიფო
ბიუროს მიერ

გაზეთი


უკრაინა აზვ შეიარაღდა

გაზეთ „კომერსანტი-უკრაინის“ ჟურნალისტებს ხელთ ჩაუვარდათ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აშშ-ის არმიამ უკრაინული წარმოების რადიოლოკაციური სადგური 36D6M იყიდა. ეს სერიული რადიოლოკაციური საკვლევი სადგურის მოდიფიკაციაა, რომელიც საზენიტო-სარაკეტო კომპლექს C-300-ის შემადგენლობაში შედის და შესაძლოა, აშშ-ის არმიას დასჭირდეს, თუკი ირანის შეიარაღებაში ანალოგიური კომპლექსი გამოჩნდება. ადრე არაერთხელ განხილულა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთი C-300-ს მიაწოდებს ირანს. 2007 წლის დამლევს ირანის თავდაცვის მინისტრმა მუსტაფა მოაჰამედ ნაჯარამ განაცხადა კიდევ, რომ ისლამური რესპუბლიკა ამ სისტემებს იმ შეთანხმების ფარგლებში მიიღებს, რომელიც ადრე რუსეთთან გაფორმდა. მოავიანებთ, მინისტრმა განცხადება უარყო. რადიოლოკაციურ სადგურს ზაპოროჟიეს სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი „ისკრა“ უშვებს და NATO-ს სპეცფიციაციით „კალის ფრი“ ჟღერდება. ეს არის მობილური სამკონტინენტული საჰაერო სივრცის საკვლევი რადიოლოკატორი და გამოიყენება პერსპინააღმდეგო თავდაცვის ავტომატური მართვის სისტემებსა და აღმოჩენის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებში მათ შორის, აქტიური, პასიური და კომბინირებული ხარვეზებით დაფარული, დაბალ სიმაღლეზე მფრინავი საჰაერო აპარატების აღმოჩენისათვის. ასეთი სადგურები ამჟამად არის NATO-ს წევრი ქვეყნების — სლოვაკეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და საბერძნეთის არმიების შეიარაღებაში.



უნიკალური ყუმბარასატყორისნი ბაზოსდა

რუსეთის სახელმწიფო სამეცნიერო საწარმო „ბაზალტმა“ დაასრულა ახალი რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარასატყორცნი PPG-30-ის გამოცდა (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე შეიტანა ამერიკული არმიის „ასიმეტრიული მუქარების“ სიაში). ყუმბარასატყორცნი ერთჯერადი გამოყენებისა და აღჭურვილია ტანდემური კუმულაციური ტანკსაწინააღმდეგო 105-მილიმეტრის რაკეტით. PPG-30-ის დამატებით კონტეინერში არის ცრუმისანი, რომელსაც შეუძლია მტრის თავდაცვის აქტიური საშუალებების გააქტიურება და მიზნის დაუბრკოლებლად გასანადგურებელი პირობების შექმნა. ექსპერტთა შეფასებით, PPG-30 დინამიკური დაცვის გადალახვის შემდგომ ზერტეს ევლახზე თანამედროვე 650-მილიმეტრის ჯგუშმანს, 1,5 მტრ კრანაბეტონისა და თითქმის 4 მტრ ხემისა წინააღობის, ასევე, 2 მტრ ავტრის წყობის. ამ ყუმბარასატყორცნისგან თავის გადარჩენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. საბრძოლო პირობებში შეუძლია შეიარაღებაში არსებული და პერსექტიული ტანკების, დაჯგუშნული და დაუჯგუშნავი მანქანების, ასევე ცოცხალი ძალისა და დაცული სიმაგრეების განადგურება.



ტერორისტებს „კატა-რობოტებით“ აზრძვიან

უახლოეს მომავალში ისრაელის არმიის შეიარაღებაში შევაჯრეთ წოდებული „კატა-რობოტები“, რომელიც კვლავზე ცოცხალ შუბლით ბერ-შევის ბენ-გურიონის სახელობის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ შექმნილ რობოტებს გამოიყენებენ მძევალთა გასათავისუფლებელ ოპერაციებში. გამოფენაზე ახალ „კატა-რობოტთან“ ერთად წარადგინეს „მაღლი-რობოტი“ და სხვა მანქანები, რომლებსაც ტერორიზმთან საბრძოლველად გამოიყენებენ. კვლავზე მცოცავი რობოტი მას შემდეგ შეიქმნა, რაც მეცნიერებს დახმარებისთვის „ცახალის“ წარმომადგენლებმა მიმართეს. როცა ჯარისკაცის, ნახშირ ვაკსმანის გამოსხნის ოპერაცია ჩაუარდა (მძევალი და ერთი სპეცრაზმული დაილუპენენ), ისრაელის სამხედროები მიხედნენ, რომ სჭირდებათ ისეთი საშუალება, რომელიც დაზვერვის, რა ხდება მტრობების მალად სართულზე, სადაც ტერორისტები იმალებიან.



აშშ-მა და რუსეთმა ვერ მოილაპარაკეს

რუსეთმა და აშშ-მა ვერ მაილწიეს შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შემცირების საკითხზე მოლაპარაკებებში. ვაშინგტონისა და მოსკოვის წარმომადგენლები ცდილობდნენ, შეემუშაებინათ ახალი შეთანხმება, რომელიც პირველს — „სტრატეგიული შემცირე შეიარაღება-1“-ს შეცვლიდა. მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ ბელორუსიის, უკრაინისა და ვაზახეთის წარმომადგენლები. კონსულტაციების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე ამერიკლებმა რუსებს შესთავაზეს ახალი შეთანხმება, რომელიც ორი ქვეყნის ბირთვული არსენალის შემდგომ შემცირებას ითვალისწინებს. ზოგაერთი დამკვირვებელი ენცეპში 14-21 ნოემბერს ახალ შეთანხმებაზე ხელის მოწერის პერსპექტივას სეპტიკურად უყურებდა, რადგან თეთრი სახლის ახლანდელ ადმინისტრაციას მოქმედების სულ ორი თვე აქვს დარჩენილი. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა (მას 1991 წლის ოქტომბერიდან მთავრებს ხელი) 2009 წლის 5 დეკემბერს გადის. ამ დოკუმენტის პირობების თანახმად, შეთანხმების ხელმოწერის მხარეები ვალდებული არიან ჰქონდეთ არა უმეტეს 6000 ბირთვული ქობინისა.

ირანმა წყალქვეშა ნავი და ორი რაკეტოზონი ააგო

უახლოეს მომავალში ირანის სამხედრო-საზღვაო ძალები მწყობრში ჩააყენებენ კიდევ ორ წყალზედა ხომალდსა და წყალქვეშა ნავს. საზღვაო ძალების მეთაურის, ადმირალ ზაბიბულა საიარის თქმით, სარაკეტო შეიარაღება „კალითოს“ და „დერფაში“ აღჭურვილ ორ ხომალდს, ასევე მსუბუქ წყალქვეშა ნავს წყალში 2008 წლის 27 ნოემბერს ჩაუშვებენ, ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების დღეს. ადმირალმა ისევ გაიმეორა მუქარა ოფუზის ყურის ბლოკირების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუკი ირანს საომარი საფრთხე დაემუქრება. როგორც ცნობილია, ყურეში მსოფლიო ნავთობის 40%-ის ტრანსპორტირება ხდება. საიარამ დაზუსტა, რომ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალები ომანისა და სპარსეთის ყურის რაიონებში, ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანი ორშუბის ყურეში უცხოური გემების მიმოსვლის სისტემატურ მონიტორინგს ატარებენ. სამხედრო მეთაურმა ზაბი გაუსვა, რომ ირანს არ აქვს დაგეგმილი კასპიის ზღვაში თავისი სამხედრო ყოფნის გაზრდა, მაგრამ რაკი კასპიის ზღვის 20% ირანის ტერიტორიაა(?), ქვეყანა მზად არის „იმ რაიონის სრულფასოვნად დასაცავად“.



ბრიტანელთა მანქანები შეარჩიეს

დიდი ბრიტანეთის სამხედრო უწყებამ საბოლოოდ განსაზღვრა უზრუნველყოფის საბრძოლო მანქანების სამი კატეგორია, რომლებსაც ავღანეთში სამხედრო კონტინგენტს მააწოდებენ. FORCE PROTECTION INDUSTRIES INC-ის მძიმე ჯავშანმანქანა WOLTHOUND-ს აქვს მაღალი ნაღმდამცველობა და მას განსაკუთრებით როულ რეგიონებში გამოიყენებენ. WOLTHOUND-ს შეუძლია 4,5 ტონა ტვირთის გადატანა. კომპანია NAVISTAR DEFENCE-ს ავტომობილი HUMKY-ს გაცილებით პატარა ვაბაროტები აქვს და მისი გამოყენება იმ ადგილებში შეიძლება, სადაც WOLFHOUND-ის ექსლუატიცია ჭირს. უზრუნველყოფის ფუნქციების გარდა, ამ მანქანებს გამოიყენებენ სამედიცინო და საკომანდო ავტომობილების სახით ფირმა SUOCAT LTD-ის ყველაზე მცირევაბაროტებიანი და მაღალსიქარაიანი ჯავშანმანქანა COYOTE, ვარიანტში 6X6, სხვადასხვა მისიას ოღროზილო ადგილებში შესარულებს. შეჯახსენებთ, რომ 2009 წლის ოქტომბერში დიდი ბრიტანეთის სამხედრო უწყებამ გადაწყვიტა ავღანეთში 1 მლრდ დოლარად დირებული ავტომობილების პარტიის გაგზავნა, რაც ბრიტანელი ოფიცრებისა და ვაიისკაცების გაზშიბრულებს დაღუპვამ განაპირობა. ავტომობილების დიდი ბრიტანეთის კონტინგენტს ავღანეთში 2009 წელს მააწოდებენ. ქვეყნის სამხედრო უწყება იმედოვნებს, რომ ავტომობილები გაცილებით გააძლიერებს ბრიტანელი მებრძოლების თავდაცვისუნარიანობას.



კონფლიქტის ზონების საზღვრებთან კვლავ ისვრიან და აფეთქებენ

კრემლს სურს ახალ შეირადებულ კონფლიქტში ჩაგვითრიოს

ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის კონფლიქტის ზონების საზღვრებთან კვლავ დაძაბული სიტუაციაა.

სეპარატისტები გრძობენ რა რუსი ოკუპანტების სერიოზულ სამხედრო დახმარებას პროლოკაციას პროლოკაციაზე აწყოფენ. ამ პროლოკაციების მთავარი მიზანია ქართული მხარე საპასუხო ცეცხლზე გამოიწვიონ, რის შემდეგაც საქმეში უკვე რუსული მძიმე ტექნიკა ჩაერთვა...

მოსკოვს ჩვენდა სამწუხაროდ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი აქვს გამზადებული, სარკობი-მედევედვის ექსპერტთან ხელშეკრულებაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ წერია, რომ ქართული შეიარაღებული ფორმირებები დისლოკაციის ადგილებს უნდა დაუბრუნდნენ, თუმცა არ არის კონკრეტულად მითითებული როდემდე.

თუკი ქართული სამხედრო დანაყოფები გამოწინდებიან კონფლიქტის ზონების სიახლეებს, კრემლი მაშინვე ზემოხსენებული ხელშეკრულებას დამ-

17 ნოემბერს დილით, ცხინვალის რეგიონში ZALA-ს ტოპოს ერთი ასეთი რუსული უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი ჩამოვარდა და იგი ქართულმა პოლიციელებმა თბილისში ჩამოიტანეს. შუადღისას სოფელ ფლაფთან მეორე ასეთივე აპარატის პოვნისა და განადგობის მომენტში ორი ქართველი მენიღმე დაიღუპა...




რეკვად გამოაცხადებს თბილისს...

არადა, სეპარატისტებისა და რუსი ოკუპანტების პროლოკაციები უკვე ისეთ ხასიათს იღებს, რომ მათზე რეაგირება აუცილებელი ხდება.

პრეზიდენტების სააკაშვილისა და კაჩინის კორტეჟისთვის ახალგორის რაიონთან ცეცხლის გახსნას წინ უძღოდა 15 წი-იანი ბრძოლა განმუხურთან და ტერორისტული აფეთქებები ცხინვალის რეგიონში.

დანადგომი დროშისა და რუსული უპილოტო თვითმფრინავის ნარჩენების აფეთქება, რასაც საერთო ვაშში ოთხი ადამიანი ემსხვერპლა, იმაზე მიუთითებს, რომ რუსულმა სპეცსამსახ-



ურებმა საქართველოს წინააღმდეგ ნაღმ-სიურპრებებით ნამდვილი ტერორისტული ომი გამოგვიცხადეს.

მათარია 2008 წელი როგორმე ისე გავლით, რომ ახალ შეირადებულ კონფლიქტში არ ჩაგვითრიონ.

იმედი იმისა, რომ დეკემბერში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მორიგ მინისტრიალზე საქართველო ალიანსში გაწევრების სამოქმედო გეგმას მიიღებს, აძლიან მეცერა.

ამიტომაც ძირითადად მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე უნდა ვყოფი და ვვლადფერი ვიღონოთ იმისთვის, რომ აღარ დავუშვათ სტრატეგიული მნიშვნელობის შეცდომები...

ირაკლი ალადაშვილი

NATO-ს ნაკრ ლაგვიანი უპროსიან რუსულ აგრესიას

ლაგვიის არმიის საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 5-6-ჯერ ჩამორჩება და მხოლოდ NATO-სა და ევროკავშირის იმედი აქვს...

ლაგვია, ასევე ბალტიისპირეთის დანარჩენი ორი ქვეყანა — ლატვია და ესტონეთი აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს ჩვენთვის ასე მძიმე პერიოდში.

ეს მხარდაჭერა ყველგან იგრძნობა, პოლიტიკოსთა კაბინეტებსა თუ რაგის ქუჩებში, თუმცა აკვისტოს მოულოდნელ შემდეგ ლატვიაშიც უნდებოთ კითხვები — რუსეთის შესაძლო აგრესიის შემთხვევაში დაიცავს მათ თუ არა დროულად NATO და ევროკავშირი?

საქართველოზე რუსეთის აგრესიის შემდეგ ლატვიელმა სამხედროებმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლებთან ერთად გაითავალეს, რომ NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალების გადასროლას ლატვია-რუსეთის საზღვრული საზღვარზე ერთ დღე-ღამეზე ცოტა მეტი დრო დასჭირდება. არადა ერთი დღე და დამე სრულიად საქარხანია რუსეთის ჯავშანსატანკო დანაყოფებისთვის დაიკაონ ლატვიის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი.

ლატვიას რუსეთთან არ იცავს კავკასიისის ქვედა მარჯვნივ უკლებილი (ხეხ რომ გვიცავდა, გამოვიყენო თ ბუნებრივად ნაბიძგი ეს უპირატესობა?), ამასთან ლატვიის მოსახლეობის (2,25 მლნ ადამიანი) ნახევარზე მეტი რუსულენოვანია და მათი დიდი ნაწილი ეტყობა რუსული „მე-უთუ კოლინს“ ფუნქციას შეასრულებს რუსული სამხედრო აგრესიის დაწყების შემთხვევაში.

ლატვიის შეიარაღებული ძალები თითქმის 5-ჯერ ჩამორჩება საქართველოს და გასაგებია, რომ ლატვიელებს მხოლოდ საკუთარი არმიის იმეზე დარჩენა არ შეუძლიათ.

თავდაცვის ფარის როლს შესაძლებელი რუსული აგრესიის შემთხვევაში NATO-მ და ევროკავშირმა უნდა შეასრულონ. თუმცა უბრალო ლატვიელებთან საუბარში მხირად გამოკვეთილია იმის შიში, რომ ლატვიისთვის რუსეთთან დაპირისპირებაზე თავს შეიკავებენ გერმანელები, ფრანგები და ბრიტანელები



და ბალტიისპირეთის ისე მიუვლებენ საჯავგნად რუსეთს, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა 1940 წელს. სხვათა შორის ასეთი განწყობილება იმიტოცაა გამაჩვეული, რომ ლატვიელებმა დაინახეს ევროპის პასიური პოზიცია რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის დროს.

ლატვიაში „არსენალის“ ყოფნის დროს საშუალება მოგვეცა დავეკეთავილებინა რამდენიმე სამხედრო ნაწილი, რომელთაგან ყურადღება ორმა მათგანმა მიიპყრო — სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო დაცვამ და გამანადმუვლა მომზადების ცენტრმა.

ლატვიის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებში შედის სანაპირო დაცვის სამსახური. მას ლატვიის 497 კმ-იანი სანაპირო ზოლის გაკონტროლება უწევს. ლატვიური სანაპირო დაცვის სამსახურის ფუნქციაში შედის ადამიანებ-

ის მოძიება და შევლა, საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საზღვაო გარემოს დაცვა. ამ სამსახურში ფუნქციონირებს მართვისა და კავშირგაბმულობის კომპიუტერისებული ცენტრი, რომელსაც ყოველ წამს აქვს შუჭტი მონაცემები თუ რომელი გემები დაცურავენ ბალტიის ზღვაში, რა ტიპით დააქვთ და საით მიემართებიან.

საკულისხმოა, რომ სანაპირო დაცვის სამსახურის ოპერატიულ დაქვემდებარებაში ითვალისწინება მი-17 ტიპის შვეულმფრენი. თუკი ბალტიის ზღვაში ვინმეს სასწრაფოდ დახმარება დასჭირდება, სანაპირო დაცვის სამსახურის მორივე თავად გასცემს ბრძანებას შვეულმფრენების აფრენის შესახებ. და რეუანსებებს მას სხვა სტრუქტურებს, რითაც ზოგჯერ ძვირფას წუთებს — ბალ-



ლატვიელი მეზღვაურების შეიარაღებაში მოცემული შვედური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები Carl Gustaf Kpist M/45-ებია



ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 90 წლისთავსადმი მიძღვნილ აღლუმზე რიგის სანაპიროზე ერთმანეთის მიყოლებით ჩაიარეს საბრძოლო „ჰამერებმა“...



...ჩეხოსლოვაკიური წარმოების K53 ტიპის 10088-იანმა ქვემეხებმა...



და 4088-იანმა შვედურმა საზენიტო ქვემეხებმა

ტიის ზღვის ციე ტალღებში ადამიანს 4-5 წუთი თუ შეუძლია გაჩერება.
არანაკლებ საინტერესო იყო გამანადგმელთა სკოლის მონახულება ადგიის სამხედრო ბაზაზე. აქ მომზადებულ გამანადგმელებს პრაქტიკული სამუშაოები განუხორციელებიათ კოსოვოში, ერაყსა და აფღანეთში, ამიტომაც პროფესიონალიზმი ნამდვილად არ აკლიათ.
„არსენალის“ დიდი ყურადღება კი ამ გამანადგმელთა სკოლის იმ საჩვენებელმა კლასმა მიიპყრო, სადაც ჭურვე-

ჩვენი ფონი: ლატვიის რესპუბლიკის მოსახლეობა 2,259 მლნ ადამიანია, სამხედრო ბიუჯეტი 2007 წელს 471 მლნ დოლარს შეადგენდა. რეგულარული არმია კონტრაქტის წესით კომპლექტდება და მისში 5,02 ათასი კაცი მსახურობს. ეროვნული გვარდიის რეზერვში 10,6 ათასი კაცი.

სახმელეთო ჯარები 952 ადამიანს ითვლის და მისში შედის მოტოქვეითი ბრიგადა, სადაზვერვო ბატალიონი, საინჟინრო ბატალიონი, საარტლერიო ბატარეა, სამშვიდო ძალების ასეული, სპეციალური დანიშნულების ჯგუფი.

შეიარაღებაშია 3 ცალი T-55 ტიპის ტანკი, რომლებიც სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენებიან, 15 ჯგვფანანქანა, 26 ცალი ჩეხური 100 88-იანი ქვემეხი K53, 93 ცალი სხვადასხვა კალიბრის ნაღმსატყორცი, 143 ტანკსანიონალმდგომ ქვემეხი, 430 ცალი ტანკსანიონალმდგომ რეაქტიული ყუმბარსატყორცი „კარლ გუსტივი“, 22 ცალი 40 88-იანი საზენიტო ქვემეხი, Spike-ს ტიპის თანამედროვე ტანკსანიონალმდგომ მართვადი სარაკეტო კომპლექსები.

ავიაციოში შედის სამი რადიოლოკაციური სადგური, RB5-70 ტიპის ახლო მოქმედების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, სატრანსპორტო თვითმფრინვები L-410 (ერთი ცალი) და ოთხი AN-2, ოთხი შვედულმფრენი Mi-17 და სამი Mi-2. სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაშია ორი საშტაბო და მომარაგების გემი, სამი გამანადგმელი ხომალდი, ოთხი სწრაფმავალი საპატრულო კატარა და სანაპირო დაცვის 6 კატარა.



გამნაღმველი
რობოტი
ლატვიელ
სამხედროების
განკარგულებაში



სანაპირო დაცვას მთელი
ბალტიისპირეთის ზღვის
გაკონტროლება შეუძლია

ბის, ბომბების, რაკეტების, ნაღებისა და ამფეთქებლების ათასზე მეტი ნიმუში იყო წარმოდგენილი.

ასეთი საწვინელი გამოფენა ჩვენი გაბნაღმველებისთვისაც აუცილებელია, რადგან მათ იცოდნენ რა სამშრობა ელოდებოდათ წინ. სამწუხაროა, მაგრამ ხშირად ჩვენი სამხედროები (მათ შორის ძალიან თანამდებობის პირები) ერთმანეთისგან ვერ არჩევენ ჭურვებსა და ბომბებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ტიპებზე...

ირაკლი ალადაშვილი
რიგა-თბილისი



გერმანული ავტომატური
შაშხანები G36 ლატვიის
არმიამ დაახლოებით
1.200 ევროდ შეიძინა.



ლატვიელ გამნაღმველებს
საბრძოლო საჭურვლის
საუკეთესო მუზეუმი აქვთ,
რაც არც ჩვენ გვანგნდა...

სამოქალაქო თავდაცვა და სახელმწიფოს უსაფრთხოება

აგვისტოს ომმა ეროვნული უსაფრთხოების სისტემის კიდევ ერთი მიუწევბელი საკითხი გამოამჟღავნა, — ეს არის სამოქალაქო თავდაცვა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ინერციით შემორჩა სამოქალაქო თავდაცვის სტრუქტურები, რომლებიც დაუფინანსებლობისა და უციოდინარობის გამო მოლიანად იქნა ლიკვიდირებული. სკოლებში გაუქმდა საგანის „სამხედრო საქმე“, ინსტიტუტებში სამხედრო კათედრებზე უფრო სამხედრო სპეციალიზების ასწავლიდნენ, ხოლო სამოქალაქო თავდაცვის საკითხები მხოლოდ ნაწილობრივ ით სწავლებოდა, შემდგომში კი ამოიღეს პროგრამებიდან.

ბეგრს, ალბათ, მოსწყველებითვის სამხედრო საქმის სწავლება საბჭოთა გადმონაშთი ეფონა. არც ის მინდა ვთქ-

ვა, რომ საბჭოთა პერიოდში ხარისხიანად და სრული მოცულობით ისწავლებოდა სამოქალაქო თავდაცვის საკითხები.

საზოგადოებაში ასეთი კითხვაც ისმოდა, — შემცირდებოდა თუ არა მსხვერპლი სამოქალაქო თავდაცვის არსებობის პირობებში. გარკვეულწილად მსხვერპლისა და დამზავებულების რაოდენობაზე თუნდაც საპაეო იერიშების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაც დადებით ზეგულენას იქონიებდა. ამოსურავი პასუხის გასაცემად მსხვერპლისა და დაზიანებების სრული ანალიზია გასაკეთებელი, თუ ვინ და რა პირობებში დაიღუპა ან დამჟდა და შეიძლებოდა თუ არა ამის თავიდან აცილება. ეს კი წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს. მე მხოლოდ შევეცდები, მკითხველს მიჰყოლო ინფორ-

მაცია, თუ რა არის სამოქალაქო თავდაცვა, რა ადგილი უჭირავს მას ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში და რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის შესაქმნელად.

დროებითი საპარლამენტურ კომისიის სხდომაზე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სამოქალაქო თავდაცვა უშიშროების საბჭოს პეროგატეფაო. ეს ასე არ არის. უშიშროების საბჭო შეიძლება აყალიბებდეს ძირითად იდეოლოგიას უსაფრთხოების საკითხებში, მკონდეს მაკონტროლებელი ფუნქცია (თუქა 2005 წლიდან უშიშროების საბჭო საგრანობლად შესუსტდა და მას ბევრი ფუნქცია ჩამოერთვა ძალოვანი სტრუქტურების სასარგებლოდ. სასურველია, ამ საკითხს პრეზიდენტმა გადახედოს. პრეზიდენტმა და ძალაუფლების სიმტკიცეს, ძალოვანი სტრუქტურების ეფექტიანად განვითარებას ენაჭირება ძლიერი ეროვნული უშიშროების საბჭო), ხოლო მთავარი აღმსრულებელი არის მთავრობა. თუ რომელ სტრუქტურებს დაეკადება სამოქალაქო თავდაცვის შესადასხვა ფუნქციის შემრულება, ეს ტექნიკური საკითხია, თუმცა მთლიანი სისტემის შედგენა ფუნქციონირებაზე სტრუქტურის სწორად ჩამოყალიბებაა საჭირო, რასაც წინ უნდა უძღოდეს პრინციპები და ამოცანების სწორად განსაზღვრა.

ჩვენც ამ გზით წვიდეთ და განვიხილოთ სამოქალაქო თავდაცვის პრინციპები და ამოცანები. რა ღონისძიებები უნდა გატარდეს დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ძალიან ბეგრ სახელმძღვანელო დოკუმენტში შეეხვედრფარ მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების ერთმანეთში ადრეგას. მიზანი არის ის, თუ რისი მიღწევა გვსურს. მიზანი მიიღწევა სხვადასხვა ამოცანის გადაჭრით ამოცანები კი გადაიჭრება ფუნქციების შესრულებით, ფუნქციები კი სრულდება ღონისძიებითა კომპლექსით.

სამოქალაქო თავდაცვა არის სახელმწიფოს თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილი. მისი მიზანია სახელმწიფოსა და პიროვნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებია:

— მოსახლეობის, სამრეწველო-კონომიკური და კულტურული-ისტორ-



რიული ობიექტების დაცვა განსაკუთრებული სიტუაციებისას (აეროები, სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები);

— მართვის ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია სტიქიური და ეკოლოგიური უბედურებების, აეროებისა და კატასტროფების პროგნოზირების, გაფორმებისა და ლიკვიდირებისას;

— მართვის, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სისტემების შექმნა და შენარჩუნება;

— რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური ვითარებაზე დაკვირვების ორგანიზება და კონტროლი;

— სამრეწველო-ეკონომიკური ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლება განსაკუთრებულ სიტუაციებში;

— აეროულ-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების წარმოება;

— სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, სამრეწველო-ეკონომიკური ობიექტების ხელმძღვანელი პირების, ასევე მოსახლეობის მოწინააღმდეგე განსაკუთრებულ სიტუაციებში მოქმედებისათვის.



ფრისა და საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, სხვა საჭირო ზომების მიღება;

— საომარი მოქმედებისას ან მისი წარმოების შედეგად წარმოქმნილ ხანძრებთან ბრძოლა;

— რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა სახის დასახელებების რაიონები აღმოჩენა და შემოფარგვლა, ამ რაიონებში დაზარალებული მოსახლეობისა და ფსევდოლებისთვის სამაშველო სამუშაოების ჩატარება;

— დაზარალებულ რაიონებში წესრიგის აღდგენა-შენარჩუნება;

— კომუნალური სამსახურების ფუნქციონირების აღდგენა საომარ პერიოდში;

— გეგმების დასაფლავება;

— სახელმწიფოს ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებისათვის საჭირო ობიექტების დასაცავად და მოსახლეობის გადასარჩენად საჭირო ღონისძიებების შემუშავება და გატარება.

როგორც ვხედავთ სამოქალაქო თვალის ამოცანები და ფუნქციები საკმაოდ მასშტაბური და მოცულობითია. ამიტომ სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებში თითქმის ყველა სამთავრობო და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა მონაწილეობს. ძალიან ბევრ ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის ხელმძღვანელად ითვლება პრემიერ-მინისტრი, ანუ

სამოქალაქო თავდაცვის ფუნქციები:

— მოსახლეობისა და სამრეწველო-ეკონომიკური ობიექტების ინფორმირება სხვადასხვა საშუალებების შესახებ როგორც მშვიდობიან, ასევე საომარ ვითარებაში;

— შეცადინებების, წვრთნებისა და სწავლებების ჩატარება მოსახლეობასთან და სამრეწველო ობიექტებზე;

— მოსახლეობისა და მატერიალურ-კულტურული ფასეულობების ევაკუაცია უსაფრთხო საზონებში;

— მოსახლეობისთვის თვითდაცობისა და ინფიდეალური თავდაცვის საშუალებების გამოყოფა;

— შენიღების ღონისძიებების გატარება;

— აეროულ-სამაშველო სამუშაოების ჩატარება საომარი მოქმედების დროს ან მის შედეგად წარმოქმნილი საშიშროებებისას, ასევე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის განსაკუთრებული სიტუაციებისას;

— პირველ რიგში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას ან მის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების (მათ შორის სამედიცინო დახმარების) აღმოჩენა, თვითდაც-

თმის ბაღანარგვის კლინიკა «თალიზი»

თმის ბაღანარგვის პირველი სამედიცინო-კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი პირარგვის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. გმრადი ჩვენთვის
ფოლკლორული გარანტირებული მასშტაბური ტრანსპლანტაციები. სტრუქტურული
ტექნოლოგია FOX-პროცედურები. ნაობისა და ნაწილობრივი ბაღანარგვა

თმის ბაღანარგვა სტრუქტურული 2-3 საათიანი უმტკივნეულოდ
ბაღანარგვილი თმა გუნებრივად იზრდება და არ სცივა,
კონსტრუქციული უსასო და ანონიმური.

მისამართი: ქ. თბილისი, ტაშაძის ქ. №27
ბელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge



მათერობის ხელმძღვანელი, რომელიც სხვადასხვა სტრუქტურის კორდინაციას ახორციელებს.

სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელებაში ჩართულია სხვადასხვა სამინისტრო: შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ჯანდაცვის, ფინანსთა, ეკონომიკის, როგორც მართვისა და ა.შ. ავავსტოს თბის ღრის პრეზიდენტის დაჯგუფებით თბილისის შენობა, სხვადასხვა სამინისტრო ასრულებდნენ სამოქალაქო თავდაცვის ფუნქციებს, მაგრამ ამას არ ჰქონდა ხისტემური ხასიათი და არ იყო წინასწარ დაგეგმილი და მომზადებული.

ჩვენთან საომარი მოქმედებების განახლების სამშრობო კვლე არსებობს. გარდა ამისა, შშირია სტიქიური უბედურებები, განსაკუთრებით წყალდიდობები. აუცილებლად მიმართა მძღვარი სამთავრობო სტრუქტურის შექმნა, რომელსაც დაეკისრება სამოქალაქო თავდაცვის ფუნქციების შესრულება. შესაძლოა, ასეთ სამინისტროს დაერქვას განსაკუთრებული სიტუაციების სამინისტრო (რუსეთში ეს სტრუქტურა ერთ-ერთი ყველაზე ქმდებია. ის, ფაქტობრივად, შოიგუმ შექმნა და დღესაც ხელმძღვანელობს).

სამოქალაქო თავდაცვის შექმნა (იხვე როგორც ყველაფერი სახელმწიფოში) ხისტემურ მიდგომას საჭიროებს. სამოქალაქო თავდაცვის ხისტემას შეადგენს:

— ყველა ღონის სახელმწიფო მართვის ორგანოები, რომელთა ფუნქციებია მოსახლეობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გან-

საკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმირება და მათზე რეაგირება;

— სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების გადასაჭრელად განკუთვნილი ძალები და საშუალებები;

— განსაკუთრებული სიტუაციებისათვის გამოყოფილი საფინანსო, სამედიცინო და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ფონდები და რეზერვები;

— კავშირგაბმულობის, შეტვირთვების, მართვისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის ხისტემები;

სამოქალაქო თავდაცვის ხისტემა უნდა შეიქმნას შემდეგი ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით

— მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

— მოსახლეობის დიფერენცირებული დაცვა ტერიტორიის ეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა მახასიათებლების და განსაკუთრებული სიტუაციის წარმოქმნის რეალური საფრთხის გათვალისწინებით

— თავდაცვითი ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვა და გატარება;

— თავდაცვითი ღონისძიებების განსახლებისა და სხვა მახასიათებლების, ასევე ღონისძიებების მოცულობისა და მხანარის აუცილებელი საკმარისობის განსაზღვრა.

სამოქალაქო თავდაცვის განსახორციელებლად შექმნილ ახალ სამინისტროში შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა გასამხედროებელი თუ არაგასამხედროებელი სტრუქტურები. ამვე სამინისტროში უნდა გადმოვიდეს საშუალო და სახანძრო სამსახურები, ჩამოყალიბდეს სამედიცინო დახმარებ-

ის ბივიები და ა.შ. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზება უმჯობესია ტერიტორიული პრინციპით. მასში ჩართული უნდა იყვნენ რეზერვისტებიც. განსაკუთრებული სიტუაციის წარმოქმნას ყველაფერ უნდა იცოდეს თვისი ამოცანა და ადგილი.

უნდა დაიწყო მუშაობა საკანონმდებლო ბაზაზე. სამოქალაქო თავდაცვის ფუნქციონირებისთვის ათობით საკანონმდებლო აქტი და სხვადასხვა სახის სახელმძღვანელო საბუთის შექმნა იქნება საჭირო.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სწავლება უნდა მოხდეს სასწავლო დაწესებულებებში და წარმოებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში. ყველა დაწესებულების ხელმძღვანელი ამვე დროს უნდა იყოს ამ ობიექტის სამოქალაქო თავდაცვის უფროსი. ძირითადი სახელმწიფოს სამოქალაქო თავდაცვის უფროსი კი უნდა იყოს მთავრობის ხელმძღვანელი, რომელიც სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებს ქვეყანაში გაატარებს პასუხისმგებელი სამინისტროს (განსაკუთრებულ სიტუაციათა სამინისტრო) და სხვა სამთავრობო სტრუქტურების მეშვეობით.

სასწავლო დაწესებულებებში უნდა ისწავლებოდეს სიცოცხლის უსაფრთხოებისა და თვის გადარჩენის საფუძვლები. ამისათვის საჭიროა სპეციალური პროგრამების შემუშავება და კადრების მომზადება. ჩვენ ათასობით თადარიგის ოფიცერი გვევს, რომელთა დასაქმება მათ სოციალურ მდგომარეობასაც გააუჭიბოსებს და მათი მომზადება აუცილებით იოლი იქნება, როგორც სამოქალაქო თავდაცვის სხვადასხვა სტრუქტურაში, ასევე სასწავლო დაწესებულებებში სამუშაოდ, ოღონდ ეს არ უნდა იქნეს ბეჭეუების გასამხედროების ინსტრუმენტად, როცა სკოლებში სამხედრო საქმეს მოუზადებელი თადარიგის ოფიცრები ასწავლიდნენ და უფრო სამწობრო მომზადებით იყვნენ დაკავებული. ხაზს უსვამთ ახალი პროგრამების და სპეციალისტების გადაზადების აუცილებლობას.

იმედს გამოვიქვამ, რომ ჩვენს ქვეყანას არ დასჭირდება სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების გატარება, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენი სახელმწიფო მზად იქნება მოქალაქეებისა და მატერიალურ-კულტურული ფასეულობების დასაცავად.

ამირან სალუშვაძე
სამხედრო-საპაერო ძალების
სარდალი 2003-2055წწ-ში.



ორი ფლოვის პრობლემა ვინ ვის უნდა შეუერთდეს...

უკვე რამდენიმე წელია, რაც დრო-გამოშვებით ცირკულირებს ხმა სამხედრო-საზღვაო ძალების სასაზღვრო დეპარტამენტის საზღვაო ნაწილებთან მიერთების თაობაზე.

თანაც ამ მოსაზრებას აპართლებენ იმით, რომ საქართველოს არ სჭირდება ან არ შეუძლია ორი შეიარაღებული საზღვაო სტრუქტურის შენახვა. ერთი შეხედვით ამ მოსაზრებას აქვს საფუძველი, მაგრამ გავიწყდება თავდაცვისა და შესაზღვრეების ფუნქციური დანიშნულება და დასახული ამოცანების სპეციფიკა.

სამხედრო-საზღვაო ძალების დანიშნულება არის სომარო მოქმედების საზღვაო თეატრზე ბრძოლის წარმოება, საზღვაო კომუნიკაციების დაცვა, მიწინააღმდეგის დენსანტის გადმოსხმის მცდელობის აღკვეთა, მიწინააღმდეგის ნაპირზე დესანტირების უზრუნველყოფა, სახმელეთო ძალებთან საბრძოლო ურთიერთმოქმედება.

საზღვაო შესაზღვრეების დანიშნულება არის ტერიტორიულ წყლებში სხვა სახელმწიფოების ან კერძო პირების სანაოსნო საშუალებების არასანქცირებული შემოსვლის, კონტრაბანდის გატანა-შემოტანის, ცალკეული პირის ან ჯგუფის ფარული გაყვანა-შემოყვანის მცდელობის აღკვეთა და სასაზღვრო რეჟიმის დამრღვევათა დაკავება. როგორც შეხედეთ, მათ განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ. ამ ფუნქციებიდან გამომდინარე, ხდება მათი დამოკიდებულება სპეციალური ტიპის ზომადებით მათთვის ვაითგალისწინებული შეიარაღებთა და შესაბამისად, პირადი შემაღველლების მომზადება. ხომ არის განსხვავება ომანობის დროს საბრძოლო ამოცანების შესრულებასა და აკვტაციების გაკონტროლებას შორის?

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ხშირად ყოველთვის მაშინ ვრცელდება, როდესაც რომელიმე უწყების სათავეში მოდის ახალი ხელმძღვანელობა. თუ გადავხედავთ სამხედრო-საზღვაო ძალების სტრუქტურის პირვანდელ



შტატებს, დაინახეთ, რომ სხვა ნაწილებთან ერთად (სანაპირო არტილერია, საზღვაო ქვეითები, საზღვაო ავიაცია) მის შემადგენლობაში იყო სასაზღვრო ზომადლების ოთხი დივიზიონი. შემდეგში სამხედრო-საზღვაო ძალებიდან საზღვაო შესაზღვრეები გამოიყვანეს და გადასცეს სასაზღვრო დეპარტამენტს. ეს იყო 1998 წელს, ვალერი ჩხეიძის დროს. როდესაც სამხედრო-საზღვაო ძალების სათავეში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, დაიწყო უკუპროცესი — იყო მცდელობა შესაზღვრეების ისევ სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში დაბრუნებისა. აწ განსვენებული ზურა ირემიძე თავისი სარდლობის დროს ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება. დროთა განმავლობაში თავდაცვის სამინისტროში, სამხედრო-საზღვაო ძალებსა და სასაზღვრო დეპარტამენტში ხელმძღვანელობა ბევრჯერ გამოცვალა. ეს მთარუდ ხშირად ხან მიწინააღმდეგობადა, ხან ისევ წამოიჭრებოდა იმისდა მიხედვით, ვის როგორი ამბიცოები ამოძრავებდა. ვერ იქნა და ვერ გადაწყვიტა, ვინ სად უნდა იყოს და როგორ ვვე-

ლა ქვეყანაში ეს საკითხი გადაჭრილი იმისდა მიხედვით, რა სიდიდის არის სანაპირო ზოლი, როგორ გეოპოლიტიკურ სფეროცეში, როგორია მისი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ..

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება სამხედრო-საზღვაო ძალების მიერთება შესაზღვრეებთან, ამან, შესაძლოა, მის გაუქმებამდე მიგვიყვანოს. და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანა უკვე რამდენი წელია, ფაქტობრივად, სომარ მდგომარეობაშია.

სამხედრო-საზღვაო ძალებს სახელმწიფოს დახმარება სჭირდება. ამდენი ხნის განმავლობაში ვერ დადგინდა, როგორი ფლოტი სჭირდება საქართველოს: ყოველ წელიწადს ხან ორჯერ, ხან კიდევ მეტჯერ, ან კიდევ ახალი მინისტრის, გენშტაბის უფროსის, სარდლის მოსვლისას იცვლება შტატები, რაც უარყოფითად მოქმედებს პირადი შემაღველობადა და მის საბრძოლო შვადეოფანაზე. მაგ. 2004 წლის ბოლოს და 2005 წლის დასაწყისში, რადაც ორ თვეში, სამჯერ შეიცვალა შტატები. ქვეყ-



ნის შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან შედარებით სამხედრო-საზღვაო ძალებს ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა: მის შემადგენლობაში ირიცხება 1962 წლიდან 80-იან წლებამდე აშენებული სხვადასხვა კლასისა და დანიშნულების მოქმედებული ხომალდები. ყველაფერს რომ თავი დაენებოთ, მართლ იმ რად ღირს, რომ სამხედრო მუშაულებს დღემდე ფორმაც არ გაჩანიათ მსოფლიოში მხოლოდ ჩვენი მუშაულები დადიან კამუფლირებულთა ფორმით.

ჩვენ არ ვიცით, რა სიტუაციაში აღმოჩნდებით ზღა-ზღვ. განა 1992 წლის აგვისტოში ველოდით, რომ სიხუმე საფორნტო ქალაქი გახდებოდა, ან 2008 წლის აგვისტოში სამაჩაბლოში აბგვარად წარმართობდა ჩვენი საქმე? ვის დაეხმობებოდა გორის დაბრუნება, ვინ არის იმის გარანტი, რომ არ დაგვიტრდება სამხედრო-საზღვაო ძალები ახლო მომავალში, და არა ისეთი, როგორიც ახლა არის, არამედ ქმედუნარიანი? შუგულაზე ყველა ქვეყანას ჰყავს სამხედრო-საზღვაო ძალები. ბულგარეთსა და რუმინეთს ჩვენზე მცირე სანაპირო ზოლი აქვთ, არც აბეზარი მეზობელი ჰყავთ, მაგრამ როგორი ფლოტები ჰყავთ, საზღვაო ქვეყანას უნდა ჰყავდეს სამხედრო-საზღვაო ძალები! ეს არის არა ახიზება, არამედ ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟი. ასეთია რეალობა. ავიღოთ თუნდაც კასპიის ზღვის ქვეყნები, ყველას ჰყავს საზღვაო მუსხედრეობიც და სამხედრო-საზღვაო ძალებიც.

სიპართლე თუ გინდათ, სამხედრო-საზღვაო ძალები იმ პირობებში, როგორშიც ის იყო (გველისხმობ ხომ-

ვინ ვის უნდა შეუერთდეს — სამხედრო-საზღვაო ძალები სანაპირო დაცვას, თუ პირიქით?



ლდების ტექნიკურ მდგომარეობას, ელექტროენერჯის მიწოდებლობას, საწყობის ქრონიკულ უკმარისობას, თეოობით უხელფასობას, გაუხადის საეოლოცურებო პირობებს, სიცოცხლა და შიმშილს), შენარჩუნებულ იქნა პირადი შემადგენლობის — ოფიცერთა და მინმანთა ენთუზიაზმით იმის შეგნებით, რომ საერთოველოს უნდა ჰყავდეს სამხედრო-საზღვაო ძალები. მართალია, უკანასკნელ წლებში მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა, შედარებაც არ შეიძლება შემოხსენებულთან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რომ სრულყოფილი სამხედრო-საზღვაო ძალები გვეყავდეს.

თავის დროზე სამხედრო-საზღვაო ძალების შტატები აღმდირალ აღექნანდრე ჯავახშივილს კარგად ჰქონდა ჩამოყალიბებული. სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში მყოფი ცალკეული სასაზღვრო ბრიგადა ჩვეულებრივ შეასრულებდა თავის მოვალეობას, ხოლო ზღვასა და მის სანაპიროს

არ ეყოლებოდა ორი პატრონი, არ იქნებოდა ორმაგი სტრუქტურა. იქნებოდა ერთი მთავარი შტაბი, ერთიანი ინფორმაციული სერვე, სპეციალისტთა მომხადების ერთიანი სისტემა, ერთიანი სარემონტო ბაზა, ერთიანი მატერიალური მომარაგება, არ იქნებოდა საჭირო ორი უწყების მოქმედება. შეთანხმებაზე დროის დაკარგვა, რაც უადრესად მნიშვნელოვანია ომიანობის დროს. შეიძლება ვინმეს ასეთი კითხვაც გაუჩნდეს: რა განსხვავებაა სამხედრო მუშაულები იქნებიან აქვთ თუ მუსაზღვრები — იქით განსხვავება დინახაც არის, თანაც ძალიან დიდი — სტრუქტურით, სამსახურის სპეციფი-

კით, საბრძოლო და სპეციალური მომხადებით, ხომალდების ტიპებით.

სამხედრო მუშაულები მუსაზღვრებთან მიერთებით შეიცვლება მათი სამსახურის სპეციფიკა, რასაც მოყვება თანამდებობრივი გადაადგილებები, კადრების დენადლობა, კვალიფიკაციის დადბლება, სამსახურიდან წახელა და სვე.

შედეგად მივლბთ იმას, რომ ჩვენ არ გვეყოლება სამხედრო-საზღვაო ძალები!

როგორც ცნობილია, დანგრევა აღვილია. საჭირო მომენტში საიდან აღმოცენდება ახალი და აწყობილი ბროლისუნარიანი სამხედრო ფლოტი, რომელსაც რამდენი წელია ვაშეგებთ და მაინც ვერ აგვიშენებია.

ვინ იქნება ყველაფერ ამანე პასუხისმგებელი?

ტრისტან დანელიძე
საარქივლო კატარღა
„ახმეტის“ ყოფილი მეთაური



როგორ დაველოდით სიკვდილის შიშს

ავვისტოს ომმა გვიჩვენა ქართველი მეზობლების როგორც დღეებით, ისე უარყოფითი მხარეები. შეხვედრით სიმართლეს თვალბში და ვინაირთ, რომ სამხედროების ნაწილმა (მათ შორის ოფიცრებმაც) ბრძოლის ველი თვითნებურად დატოვეს... ბრძოლის ველზე სიკვდილის შიშის გადალახვა ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია და მისთვის ამომწურავი პასუხი დღემდე არავის გაუცია, მიუხედავად იმისა, რომ ჯავრბრიობა საუკუნეების განმავლობაში იბრძვის.

„არინახლში“ ამჯერად გთავაზობთ მოსაზრებას იმაზე, თუ როგორ შეიძლება ბრძოლის ველზე სიკვდილის შიშის დაძლევა. შეიძლება ამ სტატიაში ზოგი რამ საკამათო იყოს, მაგრამ ჩვენითვის ძალზე მნიშვნელოვანია ქართული არმიის მეზობლები ფსიქოლოგიურადაც იყვნენ მზად ბრძოლის ველზე გასასვლელად.

სიკვდილის

შიში

მეტ-ნაკლებად ეცემა საბრძოლო ვეჟეტანობა და დასახული მიზნის შესრულების ხარისხიც).

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სახელმწიფოები არ ეროდებან არანაირ ხარჯს, რომ იმკვარად გაწვრთნან ჯარისკაცი (ოფიცერი), რომელსაც ეს სამი მახასიათებელი პარძინიულად ეწევა განვითარებული.

სწორედ ეს დიდი დაფინანსება მისეში იმისა, რომ შემდგომში ასე „ძვირად ღირებული“ მებრძოლის ეკიპირება შეიცვას უმადლესი კლასის ჯავშანდაცმულობასა და სხვა საშუალებებს, რომლებიც იცვენ მას მჭინააღმდეგის ცეცხლისაგან. ეკიპირება ძვირად ღირებულია, მაგრამ ფველზე ძვირფასის – ადამიანთა რუსურსების გაფრთხილების შემდეგ, წინა პლანზე გადმოდის წინდა ეკონომიკური ინტერესებიც: უმჯობესია, ისევ ის, ძვირად ღირებული ჯავშნაფილქტი ეცევა მეთმარს, ვიდრე ნაკლებსაფილქტი სხვა აღკაშმულობა, რომელიც უმად იცევს მას ბრძოლის ველზე და წვაღში გადაფრება ის უხარმზარი თანხა, თითოეული მეთმარის „ელიტარად“ ქცევისთვის რომ იქნა გაღებული.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ულტრათანამედროვე საბრძოლო, როგორც დამცავი, ასევე შემტვეი

ეკიპირების სრულფასოვნად გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ასეთი „ელიტარის“, ანუ ფიზიკურ-ემოციურ-ინტელექტუალურად მაღალი დონის მომზადების შეიწვევარისთვის არსებობის შემთხვევაში.

საზოგადოდ, ადამიანის, მოქალაქის ამკარი ფუნქციონის მიღების იდეალურ გზას, ღრმა, ფილოსოფიურ-შინარსობრივი მახასიათებლების არსებობისა და შესაბამისი მდიდარი ისტორიული მაგალითების გათვალისწინებით, ააპონური საბრძოლო ხელოვნება კარაგე ნეკორიუ წრშიაღვეს...

კონტაქტური კარაგე ნეკორიუ ეს არის ფსიქოფიზიკურ ქმველობა ერთიანობა, ანუ წრშიაღვესს დადამიანის ფიზიკური და სულიერი საწვისის, ფსიქიკისა და ორგანიზმის, ცნობადისა და შეუცნობადის ურთიერთქმედებათა გამოხატულებას.

თუ ფიზიკურ სხეულზე მეტ-ნაკლებად ფველთაფერი გარკვეულია, „ელიტარის“ ფსიქოლოგიური მომზადების საქმე უფრო რთულად არის, მით უმეტეს, თუ კიდევ ერთხელ გავისხენებთ ამერიკელი მეცნიერების მიერ დამტკიცებულ იმ ფაქტსაც, რომ ნამდილ და (არა სასწულო) ბრძოლაში ზუსტად მოქმედებს ფველა სახეობის საჯარისო განაფოვების

როდესაც ვეცნობით მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების კლიტურ საბრძოლო ქვედანაყოფთა მომზადების კრიტერიუმებს, ნათელი ხდება, რომ თითოეული ჯარისკაცის თუ ოფიცრის ინდივიდუალური მომზადების ზემადლი დონე გადამწვევტ როდს თამაშობს დასახულ ურთულეს ამოცანათა გადაჭრის საქმეში და აქედან გამომდინარე, საზოგადოდ, სახელმწიფოს სიძლიერის განსაზღვრავია.

NATO-ის ქვეყნები დიდი ხანია მეთოდურად მიდიან XXI საუკუნის ჯარის მშენებლობის ტრენდს, რომლის შექმნის ერთ-ერთი უპირველესი პირობა ულტრათანამედროვე შეიარაღებასთან, ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ ეკიპირებასა და სხვა მნიშვნელოვან პირველხარისხოვან საშუალებებთან ერთად, თითოეული მებრძოლის ფიზიკურ-ემოციურ-ინტელექტუალური მომზადების დონე წრშიაღვესს (ნათელია, რომ როგორც კი მებრძოლის არ სამი მახასიათებლიდან ერთ-ერთი არ დგას სათანადო სიმაღლეზე,



შეიძლება მხოლოდ ერთი მართებოდ. სამ მართებდ შიშ აქვს სიკვდილისა და შედეგად, ამ გვეუფნად შეუძლებელი უფრო მეტი იხილება. ამ ერთი მართებდის ამ-სილოურტ ურვეულობას წარმოადგენს ელტორტ სპექტრედაზიფიფთა პირადი შე-მადგენლობა.

არსებობს უამრავი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგის, სამხედრო ექსპერტის შრომა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოხადდეს „ელტორტის“ ფსიქიკა დასახ-ულ რთულ ამოცანათა ზედმეწიწით ზუსტად შესასრულებლად. ძალიანად, რეკომენდაციები იყოფა ორ დამატურლად საწინააღმდეგო მიმართულებად:

ერთი ამტკიცებ, რომ ცალკე ფსი-ქიკის ვარჯიშო საჭირო არ არის - აგრ-ჯამე (ფსიხიკური) სხეული და ის თვითონ გაამყარებს ფსიქიკას, ხოლო მეორენი (ძალიანად, შერეული ახდომსაქვითის რელიგიკურ-ფილოსოფიურ მოდერება-თა სპეციალურ ფსიქოტრენინგებზე დადრენობით) გვასწვლიან, რომ ფსიქი-კით უნდა იმართებოდეს არა მარტო მთე-ლი ფსიხიკური სხეული, არამედ ზოგიერ-თი ორგანიზმ(1).

ამ მხრე კარატე ნეო-რიუს შესა-სწელი სისტემა უნიკალურია: მისი მიხედ-ვით, მეტამოლის ფენომენის მისაღებად წვრთნა ხდება პარმიონულად, ორივე მუ-თხილი, რომლის საბოლოო მიზანი არის ის, რომ ინდივიდულის შემეცნებაში მიაღ-წიოს განსაზღვრულ მეტამორფოზს, ე.წ. „სულის აუღელვებლობას“ (აბ. „მუხ-ინი“), რომლის დროსაც მებრძოლი წვეტეს განსჯას, ხოლო თანამედრევე ფილოსოფიის ან ფსიქოლოგიის ქნით თუ ვიტყვიო, ეს არის ის მეტამორფოზი, როცა „აზრი არსებობს მოძრაობაში“, ანუ, როცა ადამიანის სხეული ხდება თავისევე შემეცნების, ასე ვთქვათ, გამოხაზილი, ავ-ტომატო. ნებისმიერი ჩვენგანი მშვენიერად იცნობს ამ ფენომენს: მაგ. ქვეითად საპროლისხას, ავტომატქინანს მათთვისას, „კარატორული“ ადამიანის ლოკიკურ-განსჯადი აპარატი და ეს ყველაფერი გა-დატრანილია ე.წ. კვეცნიობერ რეჟიმში; ასეთ დროს ადამიანის შემეცნება, მისი აზრი, არ ჩერდება, მაგალითად, სარეული-სა - თითოეულ ნაბიჯთან დაკავშირებული განსჯადობაზე, ამ მანქანის ტარებისას - ჰვლიდა და სინქრონა გადახაროველი კოლოფის ურთიერთდამოკიდებულებებს მიმდევრობათა აზრობორე მსჯელობა-ზე და ა.შ.

კარატეს ოსტატები გვასწავლიან: „არ იფიქროთ არაფრ მოწინააღმდეგ-ებზე, არამედ საკუთარ თავზე“. როგორც კი აზრი შექმნდება რომელიმე ობიექტზე, ეს იქნება მოწინააღმდეგის უმუშეო თუ იარაღი და, თუ თქვენი აზრი მოექცევა როგორც მოწინააღმდეგის,

ისე თქვენს ილიათა ტექნიკაში, იმავე წამს დაკარგეთ კონტროლს საკუთარ თავზე, რაც მოასწავებს გარდაუვალ სიკვდილს!“

პარაოლისთის: XXI საუკუნის ჯარისკაცის მისაღები პროგნოზის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა არის, რომ „ელიტარია“ ბრძოლისას, შესაბამისი ფსიქოლოგიური მომზადების წვალი-ობით არ აქცეულს ყურადღებას მოწინააღ-მდეგის პრინციპებს, ისევე როგორც საკ-უთარს. იგი წარმოადგენს მხოლოდ მშ-ვიდ, გარისწორებულ მომუშეს სიკვდილ-სიცოცხლეს შორის გათამამებულ ფტა-ლურ სპექტაკლში, და რომელშიც, იმედობრუნება, თვითონ იღებს ყველაზე აქტიურ მონაწილეობას. უფრო ვასაგუ-ბი ქნით რომ ვთქვათ, „ელიტარია“ ბრძო-ლას აწარმოებს ფსიქიკურ სხეულზე ქვეშეტეხვით ფსიქიკის ხელმძღვანელო-ბით, როცა აზრი (აბსტრაქტულ-ფილოგიკური აზროვნება) არ ჩერდება არც ერთ ობიექტზე, არც ერთ წერტილზე, სუბერჯექტივაცი, თანამედრევე პრინცი-პებით, ბრძოლისას გათავისუფლებული უნდა იყოს ნებისმიერი ხელის შემოქმე-ლი აზრისგან, განსაკუთრებით ისეთის-გან, რომელიც უკავშირდება სიცოცხლე-სა და სიკვდილს, საიყოფა და ბროტე-ბას, მოგებასა და წაგებას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ მან სრულფასოვრად აღიქვას არსებული სა-ბრძოლო ვითარება, გახდეს მისი სრულ-ფასოვანი წვერი და იმავე ვითარების კანონებით, ბრძოლაში ავტომატურად გამოიღებს გამარჯვებულს.

ნათელია, რომ ჯარისკაცმა როგორც სწავლილ, როგორ რეალურ ბრძოლაში სწავლიდა არც იმოქმედოს, პირველ რიგ-ში მშვესეულად, გარკვევით უნდა ჩამო-ყალიბდეს, თუ რა არის დასახული მიზნად და როგორ უნდა მიადწიოს მას. ეს რომ შესასრულოს, მისმა ფსიქიკამ შესაბამი-სი ცოდნის სამკრიდან უნდა „გახსენ-ოს“ და „ააზრნოს“ კონკრეტული შემთხვევისთვის აუცილებელი ქმედება. ასეთი სახის „გახსენება“ წარმოდგენე-ლია თვის დროზე ინტენსიური, ფიზი-კურ-ფსიქოინტელექტუალური სწორად მიმართული საფარჯიშო სისტემის გე-ლის გარეშე, რომლის შემდეგ, უკვე არ-სებული სიტუაციის გათავისსწინებით, ბრავო მოულოდნელიც უნდა იყოს ის (და ასეთი სიტუაციები, მთი უმეტეს, რეალურ ბრძოლაში, საკმარისზე ბევ-რია), რეფლექსურ დინეზე მიიღებს სწორ გადწყვეტილებას. აქედან გამომ-დინარე, არის ერთი ნიუანსი, რომელიც ნებისმიერი ძლიერი არმიის, ძლიერი „ელიტარის“ საბრძოლო მოქმედებისას არის გათავისსწინებული: როგორც წესი, ნებისმიერი ოპერაციის ჩასატარე-

ვლად მზადდება რამდენიმეაზროვე-ლური გეგმა, რომელიც თანაგრძნობს გათავისსწინებულ შემთხვევების მიმართებად დიფერანს ან ნებისმიერი ასეთ შემთხვე-ვისთვის თავისი პასუხ-გეგმის დაბარი-სპირებას. მაგრამ თვით მოწინავე ქვე-ნების არმიებშიც კი, არცთუ ისე იშე-ობად, ელიტური ქვედანაყოფებიც ვარ-დებიან, ასე ვთქვათ, „გაუთვლელ“ სიტუ-აციებში, საიდანაც გამოსწავლა და მშ-ვესეულად უმოცილოდ გადწყვეტილების მიღების უპირობო გარანტად უკვე ხსენებული „სულის სიმშვიდე“ - „აზრის“ მოგვეკვლინებოდ და რაც თვისის დროზე კონტაქტურ კარატეში რამდენ-ობილიანია სწორი ვარჯიშით მიიღწევა. ძირითადი საშუალება ამ მეტამორფოზის მიღწევისას არის სიკვდილის შიშის და-ძლევა, რაც არის კიდევ უფთავიშე მი-ზნად ამ შესანიშნავი საბრძოლო ხე-ლოვნების სწავლების სისტემაში.

რა არის შიში?

როგორც ვიცით, შიში წარმოიწნება ემოციად, განცად, რომელიც წარმოიქმ-ნება ადამიანის ბიოლოგიური ან თნადე სოციალური ცხოვლდებისათვის დამუ-კრების შედეგად. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად რეალურია მუქარა. ის შეიძლე-ბა იყოს მოქვენებითი. მთავარია, ვისაც უშირა, მან მიიღოს ის, როგორც რე-ალური. შიშმა ადამიანში შეიძლება გამო-იწვიოს სხვადასხვა ფსიქოფიზიკური დამდამორბა - დაწვეობა გაქცევისა და მტკიცებულება უკონტროლო აუჯიხით და ა. შ. განსაკუთრებულ შემთხვევებში შიში იწვევს სისხლძარღვთა შევიწროე-ბას, ნივთიერებათა ცვლის შეწყვეტას და შედეგად, ადამიანის ორგანიზმი უმოქმე-ლი ხდება.

